



შპს ავაზა - გადამამუშავებელი ქაღალდის პროდუქციის წარმოება

შპს "Avaza" ახლად ჩამოყალიბებული კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა დანიშნულების მქონე ქაღალდის პროდუქციას აწარმოებს: ჰიგიენური, შესაფუთი ქაღალდი, მუყაო და სხვა. კომპანიამ აიღო EU4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზის სესხი და განხორციელ ინვესტიცია ავტომატიზირებული საწარმოო ხაზის შექმნა-დამონტაჟებაში, საწარმოო შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სარემონტო სამუშაოებში. განხორციელებულმა ინვესტიციებმა შესაძლებელი გახადა პროდუქციის წარმოების გაზრდა და შრომის უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება. პროექტის დამატებითი თანმხლები ეფექტი გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვანი შემცირებაა. ახალი საწარმოო ხაზი ევროპულ რეგულაციებს შეესაბამება და სრულად ოპტიმიზირებულია ენერგოეფექტურობის სტანდარტებთან. უფრო მეტიც, გამოყენებულ ქაღალდის ხეღმურედ გადამამუშავების საშუალებას იძლევა, რითაც მცირდება საწარმოო ნარჩენების რაოდენობა ნაგავსაყრდებში. პროექტის დანერგვის გადამოწმების პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ, კომპანიამ მიიღო სესხის მოცულობის 15%-იანი გრანტი ევროკავშირის EU4Business ინიციატივის ფარგლებში.

განხორციელებული ინვესტიცია:

- ახალი, ორფერიაანი და 2 შრიანი ხელსაწმენდების საწარმოო ხაზის შესყიდვა და მონტაჟი
- საწარმოო შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის საშენებლო და სარემონტო სამუშაოები



Figure 5.1: Napkin Machine

სესხი და გრანტი:

- სესხის მოცულობა - 65,928 ევრო
- გრანტი (15%) - 9889.20 ევრო

დამატებითი სარგებელი:

- პირველადი ენერჯის მოხმარების შემცირება - 7MWh/წელიწადში
- GHG ემისიის შემცირება: 1 ტონა CO2/წელიწადში
- პროექტი პირველადი ენერჯის 20.6%-ით მოხმარების შემცირებას იძლევა, საბაზო მაჩვენებელთან შედარებით

თანხვედრა ევროკავშირის დირექტივებთან

ინდუსტრიის სექტორის სპეციფიური დირექტივები:

- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 16 მაისის დირექტივა 2006/42/EC დანადგარების შესახებ და დამატებითი დირექტივა 95/16/EC
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/30/EC ნეკრ სახეღმწიფლებს შორის ედექტრომაგნიტური თავსებადობის კანონის ჰარმონიზაციის შესახებ.

ენერჯია და გარემოს დაცვის დირექტივები:

- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/35/EC ნეკრ სახეღმწიფლებს შორის ბაზარზე ედექტრო დანადგარების დაშვების შესახებ, რომლებიც ძაბვის განსაზღვრული დიმიტების ფარგლებში მუშაობენ.
- დირექტივა 2006/12/EC - ნარჩენების შესახებ.